პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 56 (12264) | ოთხშაბათი, 7 მარტი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1962 წლის 6 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა მუშაობას.

პლენუმზე დაიწყო განხილვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ბ. ი. პოტომანოვი (სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ნ. ვ. პოდგორნი (უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), შ. რ. რაშიდოვი (უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), დ. ა. კუნაევი (ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ი. ვ. სპირიდონოვი (სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი), შ. ა. სურგანოვი (ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ვ. ი. ახუნდოვი (აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), დ. რასულოვი (ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ა. ოლშანსკი (სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი), ი. ი. ბოლდეული ([illegible] ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ე. ნ. ბარანოვი (ლენინის [illegible] კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ბ. ესენბაევი (ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი [illegible]), შ. (ლატვიის კომპარტიის ცენტრალური [illegible]), ნ. ნეიჩაუსი (ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ბ. ოვეზოვი (თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი), ტ. ი. სოკოლოვი (ყაზახეთის კომპარტიის ყაზირის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობს მუშაობას.

კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 5 მარტს

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 54.

აქამდე მე ვლაპარაკობდი საწარმოო ტერიტორიულ სამმართველოებზე. მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელი საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური და საკავშირო ორგანოების სტრუქტურაზე.

ჩვენ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კომიტეტები უნდა შევქმნათ კავშირში, რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კომიტეტი რესპუბლიკაში შეიძლება იყოს ასეთი შემადგენლობით: თავმჯდომარე — რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რომელიც მიზანშეწონილია გავათავისუფლოთ სხვა საქმეებისაგან, რათა იგი უშუალოდ განაგებდეს სოფლის მეურნეობას, გაერთიანება „სოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრები, ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე.

საჭიროა სწორად გადაიჭრას საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თუ ეს იქნება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ალბათ მის ხელში იქნება წარმოებისა და დამზადებათა ხელმძღვანელობა. ეს ერთი ორგანო უნდა იყოს.

ამ საკითხის წინასწარი შესწავლის მსვლელობაში ცალკეულმა ამხანაგებმა თქვეს, რომ სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარედ რესპუბლიკაში მიზანშეწონილია იყოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში. მე მგონია, საეჭვოა ასეთი წინადადების მიღება შესაძლებელი იყოს. რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში არის მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში, მაგრამ ამჟამად იგი ხომ არ ახდენს ისეთ გავლენას სოფლის მეურნეობის საქმის ვითარებაზე, როგორიც საჭიროა. სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ნაკლოვანება-დამახინჯებებს ვხვდებით მაშინაც, როცა რესპუბლიკაში არის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს. მაგრამ მარტო ეს მდივანი უძლური იქნება, საჭიროა სოფლის მეურნეობას მთელი პარტიული ორგანიზაცია გაბაგებდეს.

ამიტომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კომიტეტი რესპუბლიკაში გაცილებით უკეთ გაართმევს თავს დასახულ ამოცანებს, თუ მისი ხელმძღვანელობისათვის პასუხისმგებლობას დავაკისრებთ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. მაშინ რესპუბლიკასა და ოლქში სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ უბანზე ჩავარდნას იმით ალარ ახსნიან, რომ ეს გამოეპარა მდივანს, რომელიც სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს, არამედ ვერ მიხედა ცენტრალურმა კომიტეტმა ან საოლქო კომიტეტმა.

სოფლის მეურნეობის კომიტეტი რესპუბლიკაში ალბათ შეიკრიბება სხდომებზე, მაგრამ ასეთი სხდომები უნდა იმართებოდეს დაახლოებით თვეში ერთხელ. საჭიროა, რომ არ იყოს სასხდომო ფუსფუსი, რადგან მთავარი მუშაობა უნდა სრულდებოდეს საწარმოო სამმართველოებში. მაგრამ საჭიროა სისტემატური შემოწმება, მტკიცე კონტროლი.

აი ის, რაც უნდა გვეთქვა რესპუბლიკური ორგანოს შესახებ.

მხარეებსა და ოლქებში მიზანშეწონილია შეიქმნას ისეთივე კომიტეტები, როგორიც რესპუბლიკებში. ვფიქრობ, რომ ამ კომიტეტებს აგრეთვე სათავეში უნდა ედგას პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. თუ ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგება პარტიის სამხარეო კომიტეტის, საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, გაძლიერდება მხარის თუ ოლქის პარტიული ორგანიზაციის პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობისათვის.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კომიტეტი უნდა იყოს კავშირშიც. მას ალბათ სათავეში უნდა ჩაუდგეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. კომიტეტში შევლენ დამზადებათა მინისტრი, სოფლის მეურნეობის მინისტრი, გაერთიანება „საკასოფლტექნიკის“ თავმჯდომარე, ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელი. საკავშირო კომიტეტს ვერ დავარქმევთ საწარმოო დამამზადებელს, იმიტომ რომ იგი უშუალოდ წარმოებაზე არ მუშაობს. თუ მას საწარმოო ფუნქციებს მივანიჭებთ, იგი მაშინვე გადაიქცევა ყოფილ სოფლის მეურნეობის სამინისტროდ. მაშინ მას უნდა მიენიჭოს დაგეგმვის, მომარაგების ფუნქციები და ბევრი სხვა რამ. მაგრამ ეს უკვე განვლილი ეტაპია. საკავშირო კომიტეტის მთავარი ამოცანაა მოაწყოს სოფლის მეურნეობის საკითხთა შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ყოველდღიური შემოწმება.

საკავშირო კომიტეტი უნდა აღჭურვოთ შესაბამისი უფლებებით, რათა მან განიხილოს და გადაჭრას ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის, მაგალითად, მიწოწველობის შეცვეთების განსაზღვრა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების წარმოების გეგმების, მათზე სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებათა განხილვა. კომიტეტმა უნდა იცოდეს არა მარტო მოთხოვნილებანი, არამედ ისიც, თუ როგორ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებებს მრეწველობა, როგორ არიან უზრუნველყოფილი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათადარიგო ნაწილებით, საწვავით, მინერალური სასუქებით, ჰერბიციდებით, ზჰამქიმიკატებით. ერთი სიტყვით, კომიტეტმა უნდა იცოდეს სოფლის მეურნეობის ყველა საჭიროება როგორც წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის განკუთვნილ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა სწორი განაწილების თვალსაზრისითაც.

კომიტეტი ყოველდღიურად უნდა ადევნებდეს თვალყურს ყველა ამ საკითხს, უზრუნველყოფდეს მათ სწორად გადაჭრას, ამზადებდეს ზოგიერთ საკითხს მინისტრთა საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის განსახილველად და დასამტკიცებლად.

შესაძლოა საჭირო იყოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების რეორგანიზაციაც, გამოცდილი ადამიანების შერჩევა, რომლებსაც დაეკისრებათ ის ფუნქციები, რომ პარტიული კონტროლი გაუწიონ მართვის ორგანოების მუშაობას, რომლებიც ახლა იქმნება. როგორც ჩანს, ასევე მიზანშეწონილია რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების სასოფლო-სამეურნეო განყოფილებათა რეორგანიზაციაც, ისე რომ დავუსახოთ მათ მთავარი ამოცანა — ყოველდღიური პარტიული კონტროლი გაუწიონ ორგანიზაციულ საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ხალხის წინაშე პასუხს ვაგებდეთ პარტიის ავტორიტეტით. ასე და მხოლოდ ასე უნდა გვესმოდეს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის.

უნდა გამოვიმუშაოთ რაღაც კრიტერიუმი საწარმოო სამმართველოების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესაფასებლად. მე მგონია, მუშაობა უნდა შეგაფასოთ შრომის ნაყოფიერების დონის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის მიხედვით. მხედველობაში მაქვს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა, პროდუქტების წარმოება და პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხების რაოდენობა ას ჰექტარ მიწაზე, კონტრაქტაციის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება.

მუშაობის შეფასების დროს სავალდებულო პირობა უნდა იყოს პროდუქციის წარმოებაზე შრომის დანახარჯების შემცირება. სასარგებლო იქნებოდა სხვადასხვა ზონისათვის შეგვემუშავებინა ცენტერ პროდუქციაზე შრომის დანახარჯების ნორმატივები, ამისათვის საფუძვლად დაგვედო მოწინავე მეურნეობებში მიღწეული დონე.

როგორც უკვე ითქვა, ამჟამად ოლქის, მხარის, რესპუბლიკის წარმატებათა შეფასების დროს ჩვენ ვითვალისწინებთ მხოლოდ გეგმის შეჯამებითს შესრულებას. საქმისადმი ასეთ მიდგომას არ უნდა შეეფერებოდეთ. რა იმალება შეჯამებითი მაჩვენებლების მიღმა? ერთი კოლმეურნეობა ას ჰექტარ მიწაზე ჰყიდის, მაგალითად, 50 ცენტნერ ხორცს, მეორე კი ამის ნახევარს ან მეოთხედსაც კი. მაგრამ რადგანაც ოლქმა ან რაიონმა მთლიანად შეასრულეს გეგმა, არავინ არ ზრუნავს და არ სწავლობს, თუ რატომ აწარმოა ამა თუ იმ კოლმეურნეობამ გაცილებით ნაკლები პროდუქტები მეზობელთან შედარებით, არავინ არ ზრუნავს იმისათვის, რომ გამონახოს მიზეზები, განახორციელოს ღონისძიებანი შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებისათვის.

ამავე დროს წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ მთავარი მიზეზია ხელმძღვანელობის დონე. ამიტომ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, საწარმოო სამმართველოს ხელმძღვანელობის საქმიანობა მარტოოდენ გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებლით არ უნდა განისაზღვრებოდეს. საჭიროა, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობა, ყველა კოლმეურნეობა განსაზღვრულ ზონაში მხარდამხარ მიდიოდეს და ასრულებდეს ამოცანებს, რომლებიც დასახულია მათ წინაშე სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ხალხის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის.

იმისათვის, რომ გადაიჭრას ეს ამოცანა, პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა შეარჩიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარგი კადრები, წარმოების ყველაზე ნიჭიერი ორგანიზატორები. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებას. საუკეთესო ადამიანები უნდა გავგზავნოთ წარმოების სფეროში და არა კონტროლის ორგანოებში.

სასარგებლოა ცენტრალური კომიტეტის სახელით მივმართოთ აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ინჟინერ-მექანიზატორებს, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან დაუკავშირებელ დაწესებულებებში მუშაობენ, და მოვუწოდოთ მათ — წავიდნენ სამუშაოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო შესაძლოა, უნდა მივმართოთ იმათაც, ვინც მუშაობს თუნდაც სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ დაწესებულებებში, მაგრამ ასრულებს კანცელარიულ სამუშაოს, რათა მოვუწოდოთ ამ ინჟინრებს, აგრონომებს სამუშაოდ წავიდნენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, წარმოების იმ სფეროში, სადაც ფასეულებანი იქმნება. აქ ისინი დიდ დახმარებას გაგვიწევენ იმ ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც პარტიისა და ხალხის წინაშეა დასახული. ამ სპეციალისტთა შორის ბევრია პარტიის წევრი, კომკავშირელი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ ისინი გაიგებენ თავიანთ მოვალეობასა და პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის დარგში დასახულ ამოცანებს, შეიგრძნობენ თავიანთ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე კომუნისტური მშენებლობის პროგრამის შესრულებისათვის. სოფლის მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა წარმოების სფეროში — საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში საამუშაოდ წასვლა — თვითეული კომუნისტის დიდი პატივი და დიდი მოვალეობაა.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ ჰყოფნით კვალიფიციური კადრები. ალბათ ჩვენ აგრეთვე უნდა მივმართოთ ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობას, მოვუწოდოთ ბაბუებსა და ქალიშვილებს — წავიდნენ სოფლად, რათა შევავსოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოწინავე შეგნებული ადამიანების ხარჯზე, რომლებსაც ესმით სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში თავიანთი პირადი მონაწილეობის საჭიროება. შესაძლოა პირველ ხანებში ისინი წააწყდებიან სამუშაო ადგილის შეცვლით გამოწვეულ სიძნელეებს, მაგრამ საჭიროა, რომ ახალგაზრდობამ შეგნებულად განახორციელოს ეს და ესმოდეს, რომ ეს დროებითი სიძნელეებია. კადრებით რომ განვამტკიცებთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ჩვენ სათანადო დონეზე ავიყვანთ წარმოებას თვითეულ მეურნეობაში.

ამხანაგებო, მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა ძალაუფლება დაიპყრო, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდან, ყველაზე ძნელ ჟამს, როცა საჭირო იყო საბჭოების რესპუბლიკის დაცვა, პარტიას არა-

(გაგრძელება მე-2 გვ.).

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილები

გამალ აგდელ ნასერს, ჟოაო გულარტსა და ტანკრედო ნევესს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს გამალ აბდელ ნასერს, ბრაზილიის პრეზიდენტს ჟოაო გულარტსა და ბრაზილიის პრემიერ-მინისტრს ტანკრედო ნევესს წერილები გაუგზავნა მათი პასუხის გამო საბჭოთა მთავრობის იმ წინადადებაზე, რომ 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა მუშაობა დაიწყოს უმაღლეს დონეზე, მთავრობათა ან სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობით.

წერილში გამალ აბდელ ნასერისადმი ნ. ს. ხრუშჩოვი მადლობას უძღვნის პრეზიდენტს საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე კონსტრუქციული პასუხისათვის, რომელიც გამსჭვალულია მშვიდობისათვის ზრუნვით. ნ. ს. ხრუშჩოვი სავსებით იზიარებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმენას, რომ ისეთი სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა, როგორიც განიარაღებაა, შესაძლებელს გახდის აღმოიფხვრას საშინელი საფრთხე, რომელიც ატომური საუკუნის დამდეგიდან შეიქმნა,

როგორც საბჭოთა მთავრობის მეთაური აღნიშნავს, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის განცხადება, რომ თაოსანი მოვალეობად მიიჩნია პირადი მონაწილეობა მიიღოს 18 სახელმწიფოს კომიტეტის მოლაპარაკებაში უმაღლეს დონეზე, — კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი, ისევე როგორც წინათ, მზად არიან ღირსეული წვლილი შეიტანონ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა და ხალხთა საერთო ღონისძიებებში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას გამოთქვამს, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტშიც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელი შეუწყოს შეთანხმების მიღწევას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ნასერი წერილში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი საბჭოთა მთავრობის წინადადებას კონსტრუქციულსა და სასარგებლოს უწოდებს. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს თავის მოვალეობად მიაჩნია პირადი მონაწილეობა მიიღოს 18 სახელმწიფოს კომიტეტის მოლაპარაკებაში უმაღლეს დონეზე, და ამ მოვალეობას უყოყმანოდ შეასრულებს.

წერილში ბრაზილიის ხელმძღვანელი მოღვაწეებისადმი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ, როცა თავისი წინადადება წამოაყენა, საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობდა მისწრაფებით უზრუნველყოფილ იქნას ბოლოს და ბოლოს პრაქტიკული წინსვლა მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ, რომელიც მრავალი წელია წარმოებს, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ხომ ცხადია, ნათქვამია წერილში, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრის დაძვრა მკვდარი წერტილიდან ძალუძთ იმათ, ვისაც ამისათვის ყველაზე ფართო რწმუნებები აქვს და აღჭურვილია თავისი ხალხის ყველაზე დიდი ნდობით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ეთანხმება ბრაზილიის ხელმძღვანელებს, რომ განიარაღება ყველაზე დიდი პრობლემაა ჩვენს საუკუნეში, რომ განიარაღების განხორციელება შესაძლებელს გახდის ეკონომიური განვითარების დარგს მოხმარდეს კრედიტები და სიბიუჯეტო რესურსები, რომლებსაც ამჟამად გამალებული შეიარაღება ნთქავს.

ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწეთა იმ აზრის გამო, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის დასაწყისში უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებას ბრაზილიის მთავრობა ამჯობინებს მოლაპარაკება მოაწყოს სხვა, უფრო დაბალ დონეზე, საბჭოთა მთავრობის მეთაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, ნაკლებად მოსალოდნელია პრაქტიკული ძვრები განიარაღების პრობლემის გადაჭრაში, თუ უშუალო მონაწილეობა არ მიიღეს ყველაზე მაღალი დონისა და მდგომარეობის სახელმწიფო მოღვაწეებმა. განიარაღების საკითხის გადაჭრის ყველაზე საიმედო გზაა, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ყველაზე მაღალი მდგომარეობის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი მონაწილეობა მოლაპარაკებაში განიარაღებას შესახებ და ამასთან 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის დასაწყისიდანვე.

ბრაზილიის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი პასუხში საბჭოთა მთავრობის წინადადებაზე განიარაღებას უწოდებენ ყველაზე დიდ პრობლემას. ამავე დროს, როგორც აღნიშნულია პასუხში, ბრაზილიის მთავრობას მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება თათბირი მიმდინარე წლის მარტში დაიწყოს განიარაღების კომიტეტი 18 წევრის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით.

საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ჩვენი რესპუბლიკის პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ყველა მუშაკს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს.

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ყოველთვის დიდად აფასებდნენ და აფასებენ ჟურნალისტთა — კომუნიზმის დიადი საქმისათვის აქტიურ მებრძოლთა, ჩვენი პარტიის თანაშემწეთა კეთილშობილურ შრომას. კომუნისტური მშენებლობის წარმატებებში, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს, თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ბოლშევიკური პრესის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებით აღჭურვილმა საქართველოს პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და გამომცემლობათა მუშაკებმა.

ახლა, როცა სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებულმა მთელმა საბჭოთა ხალხმა გიგანტური ბრძოლა გაშალა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის განხორციელებისათვის, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკების მთავარი და საპატიო ამოცანაა XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ახალი პროგრამის პროპაგანდა, მალალი კომუნისტური მორალის ადამიანის აღზრდა.

მუშაობენ რა ხალხისათვის, მისი ბედნიერებისა და აყვავებისათვის, მასების დახმარებით და მასებზე დაყრდნობით, კიდევ უფრო ფართოდ ავითარებენ რა მუშსოფლკორთა მოძრაობას, ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მშრომელთა ფართო მასების აღზრდას ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო უსურვებენ საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობის წარმატებებს მუშაობაში და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტები კვლავაც იქნებიან სიმართლის მჭადაგებელნი, დიდი ლენინის უკვდავი იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტები, თავიანთი კალმითა და მგზნებარე სიტყვით უანგაროდ ემსახურებიან მშობელ ხალხს, კომუნიზმის დიად საქმეს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებასა და სინდისს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — კაცობრიობის ნათელ მომავალს!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩევლებთან

ხაშური, 5 მარტი. (საქდისი). სოფელ ალის კულტურის სახლში გაიმართა ამომრჩევლესა შეხვედრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ხაშურის საარჩევნო ოლქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ვიქტორია მოსეს ასულ სარაჯესთან.

ნდობით აღჭურვილმა პირმა, სოფელ ალის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ნ. მახათაძემ და სოლამაზე გამოსულმა ამომრჩევლებმა ს. ოლობერიძემ, ტ. ნოზაძემ, ნ. მეგვანაძემ, ნ. ნოზაძემ და სხვებმა ილაპარაკეს ამხ. ვ. მ. სირაძის ცხოვრების, მისი პარტიული და საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, დაახასიათეს დეპუტატობის კანდიდატი ვ. მ. სირაძე, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და მოუწოდეს ამომრჩევლებს ერთსულოვნად მისცენ ხმა მას არჩევნების დღეს.

ამხ. ვ. მ. სირაძემ გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი ნდობისათვის, რომელიც მას გაუწიეს.

გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა II ყრილობა

6 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა **ი. ჩხეიძეშვილმა.**

აირჩიეს ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები — საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო და სარედაქციო კომისიები.

შეტანილ იქნა წინადადება — ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით. დელეგატები და სტუმრები ამ წინადადებას ფეხზე ამდგარნი, **მუხარეულ ხანგრძლივი ტაშით** შეხვდნენ.

დაამტკიცეს ყრილობის მუშაობის რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ანგარიში;
2. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში;
3. არჩევნები:

ა) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა,

ბ) საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სარევიზიო კომისიისა.

სიტყვა მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს **შ. გოგიჩაიშვილს,** დამსწრეთა ტაშის გრიალში მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება ჟურნალისტთა ყრილობისადმი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარემ **ი. ჩხეიძეშვილმა.**

ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ **შ. ყარყარაშვილმა.**

მოსმენილ მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ჟურნალისტთა კავშირის აჭარის საოლქო განყოფილების თავმჯდომარემ, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორმა **რ. სიხარაძემ,** ჟურნალისტთა კავშირის აფხაზეთის საოლქო განყოფილების თავმჯდომარემ, გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორმა **ნ. კიუტმა,** გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა **გ. მეფისაშვილმა,** მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ, სოფლკორმა **ლეილა მაღულარიამ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **პ. შამათავამ,** გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორმა **ა. ბლრციანმ.**

ამიერკავკასიის რესპუბლიკების პრეხის მუშაკთა სახელით ყრილობას მიესალმნენ აზერბაიჯანის ჟურნალისტთა **კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ** „ბაკინსკი რაბოჩი“ რედაქტორი **ბ. ნაზაროვი** და სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქტორი **მ. ქოჩარიანი,** რომლებსაც გულთბილად შეხვდნენ.

წაიკითხეს მისასალმებელი დეპეშა, რომელიც უკრაინის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ გამოგზავნა.

ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ **გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **რ. ი. ფრუიძე,** სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი **ბ. ბ. ეროფეევი.**

7 მარტს საქართველოს ჟურნალისტთა **მეორე ყრილობა განაგრძობს მუშაობას.**

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ნ. ფალავასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ამხ. **აპაპ ნესტორის-ძე ფალავას** მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი, 1962 წლის 6 მარტი.

ზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **ი. ნაზაროვი** და სომხეთი სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის რედაქტორი **მ. ქოჩარიანი,** რომლებსაც გულთბ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(გაგრძელება)

ერთხელ მიუმართავს ხალხისათვის და უწინარეს ყოველისა კომუნისტებისათვის, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობისათვის. იგი მოუწოდებდა დაეძლიათ სიძნელენი გამარჯვების მოსაპოვებლად. ადამიანები ეხმაურებოდნენ პარტიის მოწოდებას, და ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იმარჯვებდა. პარტიის მოწოდებით ადამიანები მიდიოდნენ, იბრძოდნენ, ბევრი დაიღუპა ფრონტებზე. მაგრამ ხალხის მეხსიერებაში ისინი მარად იცოცხლებენ, რადგან თავიანთი სისხლით მოიპოვეს სოციალიზმის აშენების შესაძლებლობა.

განა შეიძლება შევადაროთ ჩვენი დროის სიძნელენი იმ სიძნელეებს, რომელთა დაძლევაც გვიხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მაშინ კომკავშირელები ხშირად მთელი შემადგენლობით მიდიოდნენ მოწინავე პოზიციებზე, თავიანთი კომკავშირული უჯრედების კარებს აწერდნენ: „ყველანი ფრონტზე წავიდნენ“. იმდროინდელი ადამიანები დასცინებდნენ იმ ახლანდელ კომკავშირელებს, რომლებსაც ეშინიათ წავიდნენ სამუშაოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე უბნებზე შრომა კი მეტად საპატიო და ხალხისათვის საჭირო საქმეა. ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებს სიუხვის შექმნა დიდი გმირობაა.

დარწმუნებული ვარ, ამხანაგებო, რომ თუ ჩვენ, ხელმძღვანელი კომუნისტები, მოვუწოდებთ ადამიანებს წავიდნენ სამუშაოდ სოფლის მეურნეობაში, — ჩვენ გაგვიგებენ. პარტიის მოწოდებას გამოეხმაურება მეტი ადამიანი, ვიდრე საჭიროა. პარტიის ხმას მუდამ ეხმაურებოდა მილიონობით ადამიანი.

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, რომ ახლა სხვა დროა. მაგრამ კომუნისტებს მუდამ მშრალად უნდა ჰქონდეთ თავიანთი კომუნისტური თოფიწამალი — ეს ყველაზე მთავარია. თუ ჩვენი კომუნისტური თოფიწამალი დასველდება და დაობდება, მაშინ პარტიული ბილეთი აღარ იქნება იმის მოწმობა, რომ ამ ბილეთის პატრონი ნამდვილი კომუნისტია და არა მხოლოდ ადამიანი, რომელიც პარტიულ ბილეთს ატარებს. ეს სხვადასხვა რამეა — ნამდვილი კომუნისტი და ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ ატარებს კომუნისტურ ბილეთს.

სიძნელეთა გადალახვა სერიოზული შემოწმებაა, ის სასინჯი ქვაა, რომლითაც მოწმდება ადამიანის თვისებები. მუდამ, სანამ მკერდში გული გვიცემს, ჩვენ „უნდა ვიყოთ შეშმარიტი კომუნისტები. კომუნისტობა იმას ნიშნავს, რომ შეურიგებლად ეკიდებოდე ნაკლოვანებებს, რომლებსაც ჩვენ ვამჟღავნებთ კომუნიზმის მშენებლობის პროცესში, მიდიოდე ბრძოლაში, სძლევდე სიძნელეებს, იბრძოდე იქ, სადაც კომუნიზმის მშენებლობის მთავარი ამოცანები წყდება. ეს არის კომუნისტის მოვალეობა!

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საკითხებს რომ განვიხილავთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ „საკსოფლტექნიკის“ ორგანოების, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესებასა და დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

გაერთიანება „საკსოფლტექნიკამ“ უწინარეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწორ განაწილებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უფრო სრულყოფილი, მაღალი წარმადობის ტექნიკის დანერგვას წარმოებაში. ამ გაერთიანების მუშაკებმა უნდა განაზოგადონ ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენების გამოცდილება, ფხიზლად ადევნონ თვალყური იმას, რომ ფართოდ გავრცელდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა მიერ შეტანილი რაციონალიზატორული წინადადებანი და კონსტრუქციული გაუმჯობესებანი. მტკიცედ უნდა დაინერგოს ის გაუმჯობესებანი, რომლებიც პრაქტიკაში ცხადყოფენ თავიანთ უპირატესობებს, ამასთან ისინი უნდა დაინერგოს იმ მეურნეობებში და იმ კულტურების მოვლა-მოყვანის ადგილებში, სადაც საუკეთესო შედეგებს იძლევიან.

„საკსოფლტექნიკის“ ორგანოებმა უნდა მოითხოვონ მანქანებისა და მექანიზმების სწორი მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია და საჭიროების შემთხვევაში დააყენონ ტექნიკის უკეთ შენახვისა და გამოყენების საკითხი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი საწარმოო სამმართველოების წინაშე. აგრეთვე საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე. ტექნიკის მდგომარეობისა და ექსპლოატაციისათვის, რასაკვირველია, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგებენ პასუხს, მაგრამ გაერთიანება თვალყურს ადევნებს, კონტროლს უწევს, მოითხოვს და ხელს უწყობს ტექნიკის გამოყენების უკეთეს ორგანიზაციას.

„საკსოფლტექნიკამ“ თვალყური უნდა ადევნოს მანქანების დროულ და მაღალხარისხოვან რემონტს. გაერთიანების მუშაკებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ საკონსტრუქტორო ბიუროებთან და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნებთან, მიაღწიონ იმას, რომ ტექნიკა საჭიროებისდაკვალად ახლდებოდეს, რომ იგი უპასუხებდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველაზე პროგრესული გაძღოლის თანამედროვე მოთხოვნებს როგორც მიწათმოქმედების დარგში, ისე მეცხოველეობის დარგშიც.

იმ პირობებში, როცა წარმოებას უშუალოდ უხელმძღვანელებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველოები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე ისახება ახალი ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. სამინისტრომ უნდა უხელმძღვანელოს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებს, უზრუნველყოს მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა წარმოებაში. ყოველივე სიახლემ, რაც მეცნიერებაში გროვდება და პრაქტიკით მკვიდრდება, ფართო გამოყენება უნდა ჰპოვოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მეცნიერების განვითარებისა და პრაქტიკაში მისი შედეგების დანერგვისათვის პასუხს აგებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. იგი ახორციელებს ამ სამუშაოს თავისი ინსტიტუტებია, საცდელი სადგურებისა და საყრდენ-საჩვენებელი მეურნეობების მეშვეობით.

სამინისტროს ხელმძღვანელებსა და მეცნიერებს უნდა ახსოვდეთ შესანიშნავი აზრი, რომელიც გამოთქვა დიდმა რუსმა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევმა: „განსაკუთრებით აუცილებლად მიმაჩნია საცდელი სადგურების დაარსება მცენარეული და ცხოველური ორგანიზმებისა და ნიადაგების მეცნიერული შესწავლისათვის, შემდეგ კი სანიმუშო ფერმებისა, რომლებშიც ადგილობრივი გლეხები დაინახავდნენ მისაბაძ მაგალითს და ამით შეძლებდნენ გაშენებულ მცენარეთა და მოშენებულ ცხოველთა ჯიშების გაუმჯობესებას“.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ თავისი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მეშვეობით უნდა უზრუნველყოს სასელეკციო მუშაობის განხორციელება ყველა კულტურის მიხედვით, კარგად მოაწყოს მეთესლეობა, მიაღწიოს იმას, რომ ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას ჰქონდეს საუკეთესო ხარისხის ჯიშიანი თესლი. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საჯიშე საქმის გაუმჯობესება, მეცნიერული მუშაობის ორგანიზაცია პირუტყვის, ფრინველის უკეთესი ჯიშების შესაქმნელად, ჯიშთაშორისი შეჯვარების ფართოდ დანერგვა პრაქტიკაში. სამეცნიერო დაწესებულებებმა უნდა დაამუშაონ პირუტყვის ყველაზე ეფექტიანი კვების პრობლემები, კომბინირებული საკვების საუკეთესო რეცეპტები და ქარხნებში, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მათი წარმოების მეთოდები.

სამინისტროსა და მისი სამეცნიერო დაწესებულებების დიდმნიშვნელოვანი მოვალეობაა სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის პრობლემა, ახალ სახეობათა სასუქების, ჰერბიციდების, ზრდის სტიმულატორების შემუშავება, აგრეთვე მინერალური და ორგანული სასუქების სწორი გამოყენება.

პარტიის XXII ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭიროა დაიწყოს დიდი პროგრამის განხორციელება საირიგაციო მშენებლობის დარგში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აქტიურად უნდა ჩაებან სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების მეცნიერული პრობლემების დამუშავებაში.

ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სწორად მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის სპეციალისტთა კადრების მომზადება.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ უნდა დაამუშაოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. აკადემიამ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ მეცნიერებისა და სოფლის მეურნეობის გაძღოლის პრაქტიკის მიღწევები მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში, უფრო ფართოდ გამოიყენონ მათი გამოცდილება.

ასეთია წინადადებანი სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, რომელთა განხილვა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საჭიროდ მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერების შესახებ

ამხანაგებო! ჩვენი პარტია დიდ გეგმებს სახავს სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენ დღეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე ვსახავთ უდიდეს შესაძლებლობებს, ვუჩვენებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აუოაცხელ რეზერვებს. ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს აგრეთვე მთელ რიგ ორგანიზაციულ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობა.

მაგრამ მთელი ეს ღონისძიებანი სასურველ შედეგს ვერ მოიტანენ, თუ პარტიას თავისი ყურადღების ცენტრში არ ექნება სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაზრდის საკითხები, თუ ძირი გამოეთხრება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ დაინტერესებას მარცვლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებით.

რატომ შევძელით ჩვენ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის უზრუნველყოფა მოკლე ვადებში? რასაკვირველია, აქ მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა: პარტიამ განამტკიცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კადრებით, გაგზავნა სოფლად ათასობით გამოცდილი სპეციალისტი და ორგანიზატორი, განახორციელა სხვა ღონისძიებანი. ამავე დროს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის უეჭველად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერებასა და მატერიალური დაინტერესების ამაღლებას. ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო ანტილენინური პრაქტიკა, როცა კოლმეურნეობებიდან არსებითად უფასოდ მიჰქონდათ პროდუქტები, რაც ძირს უთხრიდა სოფლის მეურნეობის საფუძვლებს.

პარტიამ გამოასწორა ეს შეცდომები. პროდუქტების შესასყიდი ფასები გადიდდა იმ დონემდე, რომლის დროსაც წარმატებით შეიძლება მეურნეობის გაძღოლა, როცა უზრუნველყოფილია წარმოების ზრდა და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდება.

ძირეულად გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვა. აი, მაგალითად, როგორ გაიზარდა ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა მანქანების მიწოდება ხუთ წლიწადში:

	1949-1953 წლები	1954-1958 წლები
ტრაქტორი	372 ათასი	668 ათასი
მარცვლეულის კომბაინი	208 ათასი	361 ათასი
სილოსის ასაღები კომბაინი	0 ათასი	130 ათასი
სიმინდის ასაღები კომბაინი	1 ათასი	57 ათასი
ტრაქტორის სათესელა	545 ათასი	897 ათასი
ტრაქტორის გუთანი	512 ათასი	605 ათასი
კულტივატორი	453 ათასი	718 ათასი

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გამოიყენეს სახელმწიფოს დახმარება და მნიშვნელოვნად აამაღლეს წარმოების მექანიზაციის დონე, გაადიდეს შრომის ნაყოფიერება.

მთელ რიგ ღონისძიებებში, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის განხორციელდა, თვალსაჩინო როლი შეასრულა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამ. კოლმეურნეობებს ტექნიკა რომ მივყიდეთ, ჩვენ ერთ ხელში გავაერთიანეთ მიწა და მანქანები, შევქმენით უფრო ხელსაყრელი პირობები სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებისათვის.

სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების პოლიტიკას რომ ახორციელებდა, პარტია ამ დახმარებას ძირითადად უწევდა წარმოების გადამწყვეტ უბნებს. მაგალითად, როცა საჭირო გახდა გადაგვეჭრა ყამირის ათვისების ამოცანა, ჩვენ მოკლე ვადაში გავგზავნეთ ყამირის ველებში ორასი ათასზე მეტი მძლავრი ტრაქტორი და ბევრი სხვა მანქანა.

პარტიის ხაზმა — ყოველმხრივი მატერიალურ-ტექნიკური დახმარება გაეწია სოფლის მეურნეობისათვის — საყოველთაო-სახალხო მოწონება დაიმსახურა. საბოლოო ანგარიშით მოგებული დარჩა არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ხალხი.

ახლა ჩვენ განვსაზღვრავთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დიდ პროგრამას. ახალ ამოცანებს უნდა შეესაბამებოდეს სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების ზრდაც. თუ ჩვენ მარტოოდენ მოვუწოდებთ ადამიანებს მოიყვანონ სიმინდი, შაქრის ჭარხალი, გადავიდნენ „თევზიფხურით“ ძროხის წველაზე, მაგრამ არ უზრუნველვყოფთ სიმინდის ასაღები და ჭარხლის ასაღები კომბაინების, საწველი აპარატებისა და სხვა მანქანების წარმოებას, მხოლოდ ყბედები აღმოჩნდებით. არ შეიძლება მოვუწოდოთ შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, თუ ნაჯახით ვჭრით სიმინდს. ეს ზოგიერთს მოეწონა. მაგრამ არ შეიძლება სიმინდი ნაჯახით ავჭრათ, როცა მოსავლის ასაღები და სასილოსე კომბაინები დგას, რადგან ცუდად არის გაკეთებული. ტაში დაუკარით, ამხანაგებო, რატომ არ უკრავთ ტაშს? **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).**

უკანასკნელ ორ-სამ წელიწადში ჩვენში შესუსტდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მრეწველობის მუშაკთა ყურადღება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერების საკითხებისადმი. უფრო მეტიც, ზოგიერთი მუშაკი უდარდელობასა და უპასუხისმგებლობას იჩენს ტექნიკის, მინერალური სასუქების, ჰერბიციდებისა და სხვათა წარმოების გადიდების გადაუდებელი ამოცანების გადაჭრისას.

ასეთ უპასუხისმგებლობას სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სახელმწიფო ეკონომიური საბჭოს, ბევრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელ მუშაკს შორისაც კი ვხვდებით. ზოგიერთ ხელმძღვანელს მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ყველა საკითხი გადაჭრილია და ახლა შეიძლება ცოტა რამ კიდევაც წამოვიღოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მრეწველობისაგან მეურნეობის სხვა დარგებისათვის. ეს მეტად საშიში განწყობილებაა და უნდა დაიგმოს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უნდა მოუწოდოს მთელ პარტიასა და ხალხს — კი არ შეანელონ, არამედ სწრაფად გაუდიდონ მატერიალურ-ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობას. როგორ შეიძლება განცხრომას მივეცეთ, თუ საბჭოთა მეურნეობებშიც კი მექანიკურად წველიან ძროხის სულადობის არაუმეტეს ერთი მეოთხედისა, თუ მეტწილ სამარცვლე სიმინდს ხელით იღებენ, თუ მექანიზებული არ არის შაქრის ჭარხლის, კარტოფილის აღება, ძალიან ცოტა გვაქვს მექანიზმები დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისათვის.

არ შეიძლება არ გვაღელვებდეს ის ფაქტი, რომ 1957 წელთან შედარებით, როცა მექანიზაციის პრობლემებს გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობოდა, შემცირდა ზოგიერთი მანქანის მიწოდება სოფლის მეურნეობისათვის. მაგალითად, 1957 წელს სოფლის მეურნეობას სასილოსე სიმინდის ასაღებად მივაწოდეთ 55 ათასი კომბაინი, 1960 წელს კი მხოლოდ 13 ათასი, თუმცა სიმინდის ნათესები გაფართოვდა. ტრაქტორის კულტივატორი სოფლის მეურნეობას 1957 წელს მივაწოდეთ 208 ათასი, ხოლო 1960 წელს — 79 ათასი.

განა შეიძლება ამას გამართლება გამოვუნახოთ? ვფიქრობთ, რომ ჩვენ ნაადრევად გადავიყვანეთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნები სხვა პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც ზოგჯერ სულაც არ არის აუცილებელი. თქვენ გახსოვთ „კომუნარის“ მარკის კომბაინები. ამ კომბაინებს ზაპოროჟიეში უშვებდნენ. მათ მაღალ შეფასებას აძლევდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკები. და უცბათ უკრაინელმა ამხანაგებმა ითხოვეს, რომ კომბაინების ნაცვლად ქარხანას სხვა პროდუქცია გამოეშვა. ეს თხოვნა, სამწუხაროდ, დაკმაყოფილებულ იქნა. რა პროდუქციას უშვებენ ახლა ყოფილ კომბაინის ქარხანაში? „ზაპოროჟეცის“ მარკის მცირელიტრაჟიან ავტომობილებს კერძო პირებისათვის მისაყიდად. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყანა იოლად წავიდოდა, ეს ავტომობილები რომ არ გამოგვეშვა.

კიდევ ერთი მაგალითი. თქვენ იცით, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ სიძნელეებს განიცდიან ტრაქტორებისა და კომბაინების სარემონტო სათადარიგო ნაწილების მხრივ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალეს 1959-1961 წლებში მოქმედ და ახლად აგებულ საწარმოებში შეექმნათ დამატებითი სიმძლავრენი 500 მილიონი მანეთის სათადარიგო დეტალების გამოსაშვებად. ვადა გავიდა, ხოლო ამუშავებულია მარტო 320 მილიონი მანეთის სიმძლავრეები.

სერიოზულად უნდა გაირკვეს მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების წარმოების საკითხები. შვიდწლიანი გეგმით დასახული იყო მინერალური სასუქების წარმოება აეყვანათ 12-დან 35 მილიონ ტონამდე, ანუ გაეოიდებინათ 23 მილიონი ტონით. სამი წელი გავიდა, სასუქების წარმოება კი მხოლოდ 2,9 მილიონი ტონით გადიდდა. შვიდწლედის პირველი სამი წლის მანძილზე ახალ სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა მხოლოდ 44 პროცენტით შესრულდა. იგივე მდგომარეობაა ჰერბიციდების წარმოების ორგანიზაციის საქმეშიც. ორი წლის წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება ამ საკითხებზე. დრო მიდის, ჰერბიციდები კი არ არის. სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ქიმიის კომიტეტმა და მისმა ხელმძღვანელებმა, რომელნიც თავიანთი მდგომარეობის მიხედვით მოვალენი არიან მტკიცედ იბრძოდნენ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის. ჰერბიციდებით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ზოგიერთი ამხანაგი ამბობს, რომ ნათესების დამუშავება ჰერბიციდებით ძვირი ჯდება. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ჩვენ ხომ ჰერბიციდებს არსებითად ლაბორატორიული გზით ვაწარმოებთ. საქმის ინტერესები მოითხოვს ჰერბიციდების წარმოებას ფართო სამრეწველო საფუძველი შევუქმნათ.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები ახორციელებენ მტკიცე პარტიულ კონტროლს პარტიის მიერ სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გასაძლიერებლად დასახულ ღონისძიებათა შესრულებისადმი.

სხვა ფაქტებს აღარ მოვიყვან. როგორც თქვენთვის გასაგებია, შეიძლება ბევრი ფაქტი დავასახელოთ. აქედან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. სოფლის მეურნეობასთან ხუმრობა არ შეიძლება. თუ დროზე არ შევნიშნეთ და არ დავძლიეთ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენა, შეიძლება ძირი გამოვუთხაროთ მთელ ეკონომიკას.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ახლა საჭიროა შევიმუშაოთ სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერების კონკრეტული პროგრამა. რამდენი და რა ტექნიკა გვესაჭიროება, თუ მხედველობაში მივიღებთ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ტექნიკის საუმჯობესების პერსპექტივებს? „საკსოფლტექნიკის“ გამოანგარიშებით მანქანები საჭიროა შემდეგი რაოდენობით (ათას ცალობით):

	იყო 1962 წლის 1 იანვარს.	საჭიროა მანქანები სამუშაოთა შესასრულებლად აგროტექნიკურ ვადებში.
ტრაქტორი	1.168	2.696
აქედან სათოხნი	620	1.620
მარცვლეულის კომბაინი	503	845
სილოსის ასაღები კომბაინი	121	257
სიმინდის ასაღები კომბაინი	38	111
ჭარხლის ასაღები კომბაინი	36	257
სატვირთო ავტომანქანა	790	1.650
ტრაქტორის მისაბმელი	292	820
ტრაქტორის სათესი მანქანა	947	1.628
უნივერსალური კულტივატორი	245	395
ტრაქტორის გუთანი	784	1.180

ეს გაანგარიშებანი, რა თქმა უნდა, კიდევ უნდა შეამოწმოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა. მაგრამ ალბათ ისინი ახლოა ნამდვილ მოთხოვნილებასთან, და საჭიროა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ეს ტექნიკის წარმოების გეგმების განსაზღვრის დროს. როგორც ხედავთ, უნდა გავაორკეცოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოშვება. ეს ძნელი ამოცანაა. რა თქმა უნდა, ჩვენ მას ერთ ან თუნდაც ორ-სამ წელიწადში ვერ გადაეწყვეტთ, მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ, რათა მაქსიმალურად შესაძლო შედეგს უკვე უახლოეს ორ-სამ წელიწადში მივაღწიოთ. სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გადიდებასთან ერთად უფრო სწრაფი ტემპებით უნდა დაეწყოთ ბრუშაობა სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის.

ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია მოახსენოს პლენუმს [illegible] ძირითადი ღონისძიებანი. როგორია ეს ღონისძიებანი?

ჯერ ერთი, უნდა გავაფართოოთ მატერიალურ-ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის არსებული ქარხნების სიმძლავრენი როგორც საწარმოო ფართობების უკეთ გამოყენების გზით, ისე დამატებითი საამქროების მშენებლობით იქ, სადაც ეს ეკონომიურად ხელსაყრელია.

მეორე, ჩვენ უნდა ავაშენოთ ყოველ შემთხვევაში სამი ახალი მძლავრი ქარხანა, რომლებმაც უნდა დააკმაყოფილონ სოფლის მეურნეობის საჭიროებანი: სატრაქტორო, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა, აგრეთვე მეცხოველეობის მექანიზაციის მოწყობილობისა. ალბათ ამ საწარმოთა აშენება მოგვიხდება კაპიტალდაბანდებათა და მატერიალური ფონდების ხელახალი განაწილების გზით. კარგი იქნება, თუ ასეთ ქარხნებს ავაგებთ დაკვრითი ტემპებით, მშენებლობაზე გავიწვევთ ახალგაზრდობას.

მესამე, განვავითარებთ რა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, ჩვენ უნდა დავადგეთ მძლავრი ტრაქტორებისა და სხვა მანქანების უფრო ფართოდ დანერგვის გზას, რაც საშუალებას მოგვცემს დავზოგოთ ლითონი, სახსრები, სამუშაო ძალა, ტრაქტორებისა და სხვადასხვა იარაღის ნაკლები რაოდენობით მეტი მოცულობის სამუშაოები შევასრულოთ სოფლის მეურნეობაში.

მინდა დავასახელო ზოგიერთი ციფრი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად ხელსაყრელია მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით ყამირზე, უფრო მძლავრი ტექნიკის დანერგვა. დტ-54 ტრაქტორი, რომელსაც ახლა ვამუშავებთ, უზრუნველყოფს ხვნის დროს წარმადობას 7,6 ჰექტარის ოდენობით ცვლაში. ამავე დროს ასი ძალის ძრავიან ტრაქტორს ცვლაში შეუძლია მოხნას 13,7 ჰექტარი. ამრიგად, გამომუშავება დიდდება 80 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ დტ-54 მარკის ყოველ ათას ტრაქტორს შეცვლის 560 ათასძალიანი ტრაქტორი.

თვლებიანი სათოხნი ტრაქტორების სიმძლავრის გადიდება საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გამოიყენონ უფრო დიდი წარმადობის ფართოპირიანი მანქანები. თუ, მაგალითად, 6-მწკრივიანი სათესი მანქანიდან გადავალთ 8 და 12-მწკრივიანზე და ექვსმწკრივიანი კულტივატორიდან 8 და 12-მწკრივიანზე, 40 მილიონ ჰექტარ ფართობზე სიმინდის თესვა-მოყვანის დროს მივიღებთ უდიდეს ეკონომიურ ეფექტს. ტრაქტორების საჭიროება მცირდება 166 ათასი, სათესი მანქანებისა — 166 ათასი და კულტივატორებისა 215 ათასი ცალით. ლითონის საერთო წონა შემცირდება 904 ათასი ტონით. ტრაქტორისტების რიცხვი შემცირდება 1 მილიონ 66 ათასიდან 734 ათასამდე, ესე იგი 332 ათასი კაცით.

შარშან მოსავლის აღების პერიოდში ყამირის მხარეში წარმოებდა ფართოპირიანი სამკალი მანქანების გამოცდა. რა ცხადყო ამ გამოცდამ? ჩვეულებრივთან შედარებით ახალი საკიდი სამკალი მანქანების გამოყენება, რომელთა პირის განი 6 მეტრია, მანქანების წარმადობას ზრდის 1,6-ჯერ, ხოლო თუ პირის განი 10 მეტრია — 2,3-ჯერ. გარდა ამისა, თვითმავალი კომბაინის წარმადობა 10-მეტრიანი სამკალი მანქანით გაკეთებული ღვარეულების ღეწვის დროს დიდდება 2,2-ჯერ.

თუ მარტო ყამირის მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აღვჭურავთ ფართოპირიანი სამკალი მანქანებით 15 მილიონ ჰექტარ მარცვლეული კულტურების მოსავლის ასაღებ ფართობზე, მათი საჭიროება შემცირდება 48 ათასი ცალით, კომბაინების საჭიროება შემცირდება 52 ათასით, მექანიზატორთა რაოდენობა კი — 100 ათასი კაცით.

ფართოპირიანი მანქანები უნდა გამოვიყენოთ არა მარტო ყამირის მხარის რაიონებში, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა მარცვლეულის ზონებშიც.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების მსვლელობაში ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა და სხვა მუშაკებმა ცენტრალური კომიტეტისათვის გამოგზავნილ წერილებსა და პრესაში გამოთქვეს წინადადებანი, რომ საჭიროა შემცირდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სათადარიგო ნაწილების ფასები. იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოეპოვება, მთავრობა ამცირებს მანქანებისა და საწარმოო დანიშნულების საქონლის ფასებს.

შარშან შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავის ფასები და დაწესდა შეღავათები საშემოსავლო გადასახადის მხრივ. წელიწადზე გაანგარიშებით ეს კოლმეურნეობებს აძლევს დაახლოებით 900 მილიონ მანეთ ეკონომიას ახალი ფულით.

მიმდინარე წლის თებერვალში მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების, ლითონისა და ლითონის ნაწარმის ფასების შემცირების შესახებ. წელიწადზე გაანგარიშებით ეს კოლმეურნეობებს მისცემს 250 მილიონ მანეთ ეკონომიას. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებს მიმდინარე წელს გამოეყოთ დამატებითი ასიგნებანი მეცხოველეობის საჭიროებისათვის 210 მილიონი მანეთის ოდენობით. ამრიგად, აღნიშნული მასალების ფასების შემცირებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ასიგნობათა გადიდების გზით სოფლის მეურნეობა დამატებით მიიღებს 460 მილიონ მანეთს ახალი ფულით, ანუ 4 მილიარდ 600 მილიონ მანეთს ძველი ფულით. ეს დიდი სახსრებია. მაგრამ ფასების შემცირებაში არის გარკვეული ზღვარი. არ შეიძლება ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები იმაზე იაფად გაიყიდოს, ვიდრე მათი წარმოება ჯდება. ტექნიკას სახელმწიფო გაყიდის იმ ფასად, რომელიც მთლიანად აანაზღაურებს წარმოების ხარჯებს და უზრუნველყოფს დაგროვების გარკვეულ მინიმუმს. თუ დაგროვება არ იქნება, მრეწველობა დასუსტდება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ძირი გამოეთხრება.

მაშასადამე, უნდა ვეძებოთ უფრო სწორი გზა, რათა შევამციროთ კოლმეურნეობათა ხარჯები ტექნიკის შენახვაზე. ასეთი გზაა ტექნიკის გაუმჯობესება, როგორც უკვე ვთქვი, უფრო მძლავრი და მეტი წარმადობის მანქანების გამოშვება, ტექნიკის უნივერსალიზაცია. ჩვენ უნდა მოვუწოდოთ კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, მანქანათმშენებელ მუშებს შემოქმედებითად იმუშაონ სწორედ ამ მიმართულებით. უნდა ვაუმჯობესოთ მანქანები, შევამციროთ მათი თვითღირებულება.

ამჟამად კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა ყიდულობს მარცვლეულის ასაღებ, სამარცვლე სიმინდის ასაღებ, სასილოსე სიმინდის ასაღებ კომბაინებს. არსებითად ერთნაირი სამუშაოები რომ შეასრულო, საჭირო ხდება იქონიო სამი ტიპის კომბაინები. განა ტექნიკურად შეუძლებელია

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

(დასასრული)

დიდ სარგებლობას მიიღებენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, თუ ჩვენ ბოლოს გადავწყვეტთ საკიდი მანქანების კომპლექტიან თვითმავალ შასიზე გადასვლის ამოცანას.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი ასეთი მაგალითი. ტექნიკური პროგრესის გზებზე უნდა ვეძებოთ იმის შესაძლებლობა, რომ მანქანების ნაკლები რაოდენობით ვაწარმოოთ მეტი ოპერაციები, შევასრულოთ მეტი მოცულობის სამუშაოები.

გასაგებია, რომ მანქანების ფასებმა ხელი უნდა შეუწყოს ახალი ტექნიკის გამოყენებას, რაც ამჟამად ყოველთვის როდი ხდება. ტაგანროგის კომბაინის ქარხანამ გამოუშვა საკიდკომბაინიანი თვითმავალი შასის პარტია, რომელსაც აქვს სამკალი მანქანა და თვითგანსატვირთავი ძარა. როგორ ფიქრობთ, რა ღირს ეს მანქანები? 18 ათას 227 მანეთი. ხოლო თუ ცალკე იყიდი ჩვეულებრივ კომბაინს, თვლებიან ტრაქტორსა და სატვირთო ავტომობილს, უნდა გადაიხადო მხოლოდ 6.890 მანეთი. განა ეს არის ფასების პოლიტიკა? არ უნდა დავაწესოთ გასაყიდი ფასები მათი წარმოების ათვისების პერიოდში მანქანების თვითღირებულების მიხედვით, როცა მანქანებს ჯერ კიდევ მცირე სერიებად უშვებენ.

არის ჩვენში სხვა დამახინჯებანიც, ზოგჯერ თვითნებობას სჩადიან საწარმოო დანიშნულების საქონლის ფასების დადგენაში. მაგალითად, გაზ-51 ავტომანქანის რეზინის სრული კომპლექტისათვის კოლმეურნეობამ უნდა გადაიხადოს 555 მანეთი, ხოლო ზილ-164 მანქანისათვის კიდევ უფრო მეტი — 812 მანეთი და 70 კაპიკი. ტრაქტორ „ბელარუსის“ რეზინის თვლების ერთი კომპლექტის ღირებულება 530 მანეთი და 40 კაპიკია, მთელი ტრაქტორი კი 2.100 მანეთი ღირს. რა გამოდის? გამოდის ის, რომ რეზინის თვლები ახალი ტრაქტორის მეოთხედი ღირს.

შესაძლოა რეზინის სალტეები ძლიერ ძვირია წარმოებაში და საჭირო ხდება მათი გაყიდვა სწორედ ასეთ ფასად? არა, ეს ასე არ არის. ზილ-164 ავტომობილის სალტეების კომპლექტი ღირს 399 მანეთი და 49 კაპიკი, ხოლო იგი იყიდება, როგორც უკვე ვთქვი, 812 მანეთად და 70 კაპიკად.

ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანა ამზადებს ტრაქტორის დისკოებიან ფარცხს, რომლის თვითღირებულება 270 მანეთი და 14 კაპიკია, ხოლო გასაყიდი ფასი, სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ დამტკიცებული, — 625 მანეთი. დნეპროპეტროვსკის ქარხანა უშვებს ჭარხალსათხრელს, რომლის დამზადების ღირებულება 27 მანეთია, გასაყიდი ფასი კი 60 მანეთი.

დაშახინჯებები არის სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და „საკსოფლტექნიკის“ სახელოსნოებში ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტის ფასების განსაზღვრის პრაქტიკაშიც. კოლმეურნეობებს არ უწევენ ჯეროვან ხელმძღვანელობასა და დახმარებას მშენებლობის ორგანიზაციაში. ყოველივე ამაში უნდა გავერკვეთ და აღმოვფხვრათ დამახინჯებანი.

განა არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ქარხანა იღებდეს შეკვეთას სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის არა შუამავალთა მეოხებით, არამედ პირდაპირ შემკვეთისაგან, ესე იგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. ეს შეამცირებს ზედმეტ ზედნადებ ხარჯებს.

მაგრამ საჭიროა, რომ მთელმა ჩვენმა კადრებმა — პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, ყველა კოლმეურნემ შეიგნონ, რომ მარტოოდენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ფასების მოწესრიგება როდია კოლმეურნეობის ეკონომიკის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი. მთავარი, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მოსავლიანობის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას. პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებას.

კოლმეურნეობებში, სადაც შრომის მაღალი ნაყოფიერებაა, მოჰყავთ დიდი მოსავალი, მინიმალური რაოდენობით ხარჯავენ შრომას მარცვლის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის წარმოებაზე და საკმაო დაგროვებაც აქვთ. ასეთი მეურნეობანი საჭირო რაოდენობით იძენენ ტექნიკას, აწარმოებენ მშენებლობას, სათანადოდ ანაზღაურებენ კოლმეურნეთა შრომას, წლითიწლობით აფართოებენ წარმოებას, ზრდიან სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვას. ასეთი მეურნეობისათვის მანქანების ახლა არსებული ფასები საძნელო არ არის. იგი რენტაბელურად წარმოებს. თუ კოლმეურნეობაში დაბალია შრომის ნაყოფიერება, დიდია შრომისა და სახსრების დანახარჯები წარმოებაში, მაღალია მარცვლის, ხორცის, რძის თვითღირებულება, ასეთ კოლმეურნეობას მანქანის ფასის არავითარი შემცირება არ უშველის. მიეცი მას ტექნიკა უფასოდ და მეურნეობა მაინც არარენტაბელური იქნება.

ამიტომ მთავარია შრომის ნაყოფიერება, ტექნიკის უნარიანი გამოყენება, ამ ტექნიკის შესწავლა და დაუფლება. ჩვენში ტექნიკას კოლმეურნეობებსა, და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ხშირად ცუდად იყენებენ. დაშვებულია მანქანების დიდი მოცდენა. აიღეთ, მაგალითად, კომბაინები. როგორ იყენებენ მათ? ბოსაცლის აღების დროს ისინი უფრო მეტხანს დგანან, ვიდრე მუშაობენ. ამას უურადღება უნდა მივაქციოთ. კომბაინების, ისევე როგორც სხვა მანქანების, მუშაობა წუთობით უნდა იზომებოდეს, გათვალისწინებულ უნდა იქნას შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე.

ტექნიკის თანამედროვე ფასების პირობებშიც კი კარგად შეიძლება მეურნეობის გაძღოლა. ხოლო როცა ფასებს ვამცირებთ, ამით ვქმნით უკეთეს შესაძლებლობებს წარმოებისათვის. საწარმოო ძაჩვენებლების გაუმჯობესება უნდა წარმოებდეს არა მარტო მანქანების, საშენი მასალების, საწვავის, რეზინის ფასების შემცირების ხარჯზე, არამედ, რაც მთავარია, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ტექნიკის უნარიანი გამოყენების ხარჯზე. ეს დამოკიდებულია იმ ადამიანთა კვალიფიკაციაზე, რომლებიც ტექნიკას მართავენ. ამიტომ აქაც გადამწყვეტი ბნიშვნელობა აქვს კადრების მერჩევას, მომზადებასა და სწავლებას.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა აამოქმედონ კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მატერიალური დაინტერესების ამაღლების ყველა ბერკეტი წარმოების განვითარებისათვის.

ახლა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხია. შრომის უკეთესი ორგანიზაციის კრიტერიუმია იმ პროდუქციის რაოდენობა, ხარისხი და თვითღირებულება, რომელსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აწარმოებენ, უფრო ზუსტად — შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე. ეს უნდა იყოს სარკე, რომელშიც აღიბეჭდება უნარიანი ხელმძღვანელობა. პროდუქციის თვითღირებულება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა, აგრეთვე საწარმოო სამმართველოების მუშაკთა დახასიათებაა.

ჩვენში თითქმის ყველა დარგში, ყველა ზონაში შეიძლება გამოვნახოთ ძიბაძვის საუკეთესო მაგალითები. მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩვენ შევძლებთ მკვეთრად გავადიდოთ პროდუქციის წარმოება და შევამციროთ მისი თვითღირებულება. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლები რაღაც მიუღწეველი როდია, ეს არ არის ნავარაუდევი მონაცემები, რომლებიც ცხადყოფენ მიწისა და ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობებს, ეს — დღევანდელი დღის რეალობაა. იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ აღწევენ ასეთ დონეს და ჩამორჩენილნი ან საშუალოთა რიგებში არიან, არ შესწევთ უნარი მართონ მეურნეობა.

უნდა დავაინტერესოთ ადამიანები მიწისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებით. უნდა შემოვიღოთ დამატებითი ანაზღაურება, რათა თვითეული მუშაკი დაინტერესებული იყოს შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

არ შეიძლება არა ვთქვათ იმაზე, რომ კოლმეურნეობები სერიოზულ დაბახიჯებს უშვებენ შემოსავლის განაწილებაში. პარტიის პოლიტიკის მიზანია ყოველმხრივ განვითარდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა და ამის საფუძველზე განუწყვეტლივ გაუმჯობესდეს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. ამ მიზნით ჩვენ ვურჩიეთ კოლმეურნეობებს გაადიდონ გადარიცხვა განუყოფელ ფონდებში, საწარმოო ნაგებობებთან ერთად ააშენონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი — საბავშვო ბაღები და ბაღები, კლუბები, სკოლები, საავადმყოფოები, რაც შეესაბამება კოლმეურნეთა ძირეულ ინტერესებს. თავისთავად ცხადია, რომ კოლმეურნეობამ ამასთან კოლმეურნეებს შრომადღეებზე სათანადო რაოდენობით უნდა მისცეს ფული და პროდუქტები.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი ფონდებს ქმნის კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების შემცირების ხარჯზე, აუფასურებს შრომადღეს, რითაც ძირს უთხრის საკოლმეურნეო წარმოებას. უნდა დავგმოთ, როგორც უვარგისი, პრაქტიკა, როცა ადგილობრივი ორგანოები აიძულებენ ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს — ააშენონ სკოლები, ინტერნატები, საავადმყოფოები კოლმეურნეთა სახსრებით.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერება პარტიის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირეული საკითხია სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენ მივიღეთ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნის პროგრამა. ეს პროგრამა უნდა განვამტკიცოთ ჩვენი წყობილების მთელი ძლიერებით. მე მგონია, მიზანშეწონილია გულდასმით შევისწავლოთ ჩვენი შესაძლებლობანი და განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა შემდგომ გაძლიერდეს მატერიალურ-ტექნიკური დახმარება სოფლის მეურნეობისათვის.

როცა ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ამუშავებენ და ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს, უნდა გამოვაქვეყნოთ ისინი, მოვუწოდოთ მუშათა კლასსა და მთელ საბჭოთა ხალხს წარმატებით შეასრულონ სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაძლიერების პროგრამა.

ზოგიერთ ბურჟუაზიულ ეკონომისტსა და პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ დონეს. ისინი ცდილობენ სახელი გაუტეხონ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, ამტკიცებენ, რომ კაპიტალისტური სისტემა უფრო ნაყოფიერია, ვიდრე სოციალისტური. ისინი ყოველნაირად ასხამენ ქებას სოფლის მეურნეობის განვითარების კაპიტალისტურ გზას, აღნიშნავენ შრომის მაღალ ნაყოფიერებას ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში. მაგრამ ვინ არ იცის, თუ როგორ აღწევენ ასეთ ნაყოფიერებას კაპიტალიზმის დროს. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია, მსხვილი კაპიტალისტური ფერმები ნთქამენ წვრილ ფერმებს. მარტო უკანასკნელ რვა წელიწადში, ამერიკის პრესის ცნობებით, შეერთებულ შტატებში სავსებით გაკოტრდა მილიონი წვრილი ფერმერი. ისინი შეემატნენ უმუშევართა არმიას, განიცდიან გაჭირვებას.

ამერიკის მსხვილ ფერმებში ნამდვილად მიღწეულია შრომის მაღალი ნაყოფიერება, უზრუნველყოფილია კარგი მოსავლიანობა, ამასთან სწორედ კარგი, იმიტომ რომ მოსავლიანობა ამერიკაში უხვი არ არის. დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა გაცილებით უფრო მაღალია. მაგრამ წარმოების კონცენტრაციის, მისი მექანიზაციის, მინერალური სასუქების, ჰერბიციდების დიდი რაოდენობით გამოყენების გამო ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში მკვეთრად შემცირდა შრომის დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე. ბევრად გაიზარდა თვითეული მომუშავის გამომუშავება. ამან შესაძლებლობა მისცა ამერიკას გამოსულიყო მსოფლიო ბაზარზე და წარმატებით უწევდეს კონკურენციას სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხრივ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ ამან წარმოშვა კაპიტალიზმის დროს გარდუვალი პროდუქციის ჭარბი წარმოება და გაამწვავა წინააღმდეგობანი.

ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული არიან შეამცირონ ცალკეული კულტურების ნათესი ფართობები, რადგან შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტი. ხოლო ჭარბი წარმოება იმიტომ როდია რომ ამერიკაში პროდუქტების მომხმარებელი არავინ არის. იქ მილიონობით უმუშევარია, რომლებსაც აკლიათ კვება, ხოლო არიან ისეთებიც, რომლებიც პირდაპირ შიმშილობენ. მსოფლიოში კიდევ რამდენი ადამიანია, რომლებსაც არა აქვთ კვების მეოთხედი ნორმაც კი! ამავე დროს ყველაზე მდიდარი კაპიტალისტური ქვეყანა განიცდის ჭარბ წარმოებას, ამცირებს ნათესებს და სპობს კიდევაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ნამეტს. ეს მოწმობს, რომ კაპიტალიზმი აწყდება დაუძლეველ წინააღმდეგობებს წარმოებაში, ხოლო შემდეგში ეს წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გაღრმავდება და გამწვავდება.

როცა ვაუმკარავებთ სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის წინააღმდეგობებს, ჩვენ ამასთანავე უნდა დავინახოთ ის მნიშვნელოვანი, რაც ძაგროვა ისეთი განვითარებული ქვეყნის მეცნიერებამ და პრაქტიკამ, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. ჩვენ რეალურად უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების დონით ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი კი ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში კაპიტალისტებს თითქოს არაფერი აქვთ ისეთი, რის სწავლაც ჩვენ გვჭირდებოდეს.

ასეთი შეხედულებანი სწორი არ არის.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა გვესწავლა კაპიტალისტებისაგან წარმოების ორგანიზაცია, გვესწავლა ვაჭრობა. არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობა წარმოებს მაღალ სამეცნიერო-ტექნიკურ დონეზე. შრომისა და სახსრების მინიმალური დანახარჯები ბევრი ამერიკელი ფერმერი აწარმოებს პროდუქტების მაქსიმალურ რაოდენობას. ჩვენ უკეთ უნდა შევისწავლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში, რომლებსაც მეურნეობის ორგანიზაციის მაღალი დონე აქვთ, გადმოვიტანოთ საზღვარგარეთის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყნები კვლავ წინ იქნიან წარმოების გადიდების გზით, მათ არ აშინებთ ჭარბწარმოება. კაპიტალისტები ამცირებენ წარმოებას იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ფასები და მიიღონ საარაკო მოგება. ჩვენ კი შევამცირებთ შრომის დანახარჯებს წარმოებაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევამციროთ საცალო ფასები, რათა ადამიანმა შეძლოს შეიძინოს იმდენი პროდუქტები, რამდენიც მას სჭირდება. ასეთია ჩვენი გზა, ასეთია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა.

ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ და კიდევაც დავამტკიცებთ, რომ სოციალისტური სისტემა სოფლის მეურნეობაშიც ისევე, როგორც მრეწველობაში, მეცნიერებასა და კულტურაში, გადააჭარბებს კაპიტალისტური წარმოების დონეს და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების ყველაზე მაღალ დონეს.

ეს ამოცანები რომ გადავჭრათ, დროის დაუკარგავად, ორგანიზებულად უნდა მოვკიდოთ ხელი თვითეულ მეურნეობასა და რაიონში არსებულ შესაძლებლობათა უფრო სრულად გამოყენებას, წლითიწლობით გავადიდოთ წარმოება, ზედიზედ ავიღოთ მიჯნები.

მაგალითად, ხორცის წარმოებას თუ ავიღებთ, შეიძლება დავსახოთ სამი ეტაპი ამ ამოცანის გადაჭრაში.

პირველი ეტაპი—ვაწარმოოთ 75 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი—100 ჰექტარ სხვა სავარგულებზე. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, პროგრამა-მინიმუმია თვითეული მეურნეობისათვის. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ წარმოების ასეთი დონე უახლოეს წლებში.

მეორე ეტაპი—ვაწარმოოთ 100 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სახნავზე. ეს იქნება უკვე ხელმძღვანელობის უფრო მაღალი კლასი. ჩვენში არის ისეთი მეურნეობანი, რომლებმაც მიაღწიეს აღნიშნულ დონეს. საჭიროა მათ გამოცდილებაზე ვასწავლოთ სხვებს, ავიყვანოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ დონემდე.

მესამე ეტაპი—ვაწარმოოთ 150 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე. ეს უკვე ხელმძღვანელობის უმაღლესი კლასია. ის, ვინც მიაღწევს ამ დონეს, ღირსეულად უნდა აღინიშნოს.

უნდა განვსაზღვროთ რძის წარმოების დონეც პირველი, მეორე და მესამე ეტაპებისათვის ზონების მიხედვით.

როგორც ჩანს, ასევე უნდა მივუდგეთ მოსავლიანობის გადიდებისათვის მუშაობის შეფასებასაც. მიზნად დავისახოთ მივაღწიოთ დაახლოებით ასეთ მაჩვენებლებს:

— ხორბალი და სხვა მარცვლეული კულტურები — 20-25 ცენტნერი ჰექტარზე;
— სამარცვლე სიმინდი—50 ცენტნერი ჰექტარზე;
— სასილოსე სიმინდი—300-500 ცენტნერი ჰექტარზე;
— ბარდა—20-30 ცენტნერი ჰექტარზე;
— სამარცვლე საკვები პარკოსნები—20-30 ცენტნერი ჰექტარზე;
— სასილოსე საკვები პარკოსნები — 200-300 ცენტნერი ჰექტარზე;
— შაქრის ჭარხალი—200-250 ცენტნერი ჰექტარზე;
— ბამბა—სულ ცოტა 25 [illegible] თეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში;
— მზესუმზირა—სულ [illegible]
— კარტოფილი — 120-200 ცენტნერი ჰექტარზე;
— ბოსტნეული—250-300 ცენტნერი ჰექტარზე.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ წარმოების ასეთ დონეს? ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შევასწავლოთ ყველა კოლმეურნეს და საბჭოთა მეურნეობის მუშას მოიყვანონ ზემოაღნიშნული მოსავალი, განსაკუთრებით სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის და საკვები პარკოსნებისა.

გვყავს თუ არა ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან ეს ამოცანა? დიახ, ასეთი ადამიანები გვყავს. გვაქვს თუ არა ამისათვის საჭირო ტექნიკა? ტექნიკაც გვაქვს, ხოლო შემდგომში მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოშვება სწრაფად გადიდდება.

სიმინდის მოსავალი — 300-500 ცენტნერი ჰექტარზე, და სხვა კულტურების დასახული მოსავალი შეიძლება მივიღოთ ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში. ეს ყველაზე უხვი მოსავალი როდია. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ეს საშუალო მეურნეობის საშუალო მაჩვენებლებია. მაშასადამე, ჯეროვანი ორგანიზებულობის პირობებში ასეთი მაჩვენებლების მიღწევა სავსებით შეუძლია თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას.

ჩვენში შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებია მეცხოველეობაში. მერძევეობის მეურნეობაში არიან ისეთი ოსტატები, რომლებიც მექანიზებული წესით წველიან 100-150 ძროხას და წელიწადში დაახლოებით 300 ტონა რძეს იღებენ. ბევრი მექანიზატორი მელორე ასტქებს 5-6 ათას ღორს.

იბადება კითხვა, თუ ასეთი მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია მოწინავე მეურნეობებში, რატომ არ შეიძლება მივაღწიოთ ამას სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში? ყველაფერი დამოკიდებულია წარმოების სწორ ორგანიზაციაზე, ადამიანთა უნარზე.

სიმძიმე, რომელიც სოფლის მეურნეობის მუშაკებს აწვებათ, სავსებით შეესაბამება მათს ძალღონეს, მუშებს, კოლმეურნეებს, აგრონომებს, ინჟინრებს, ზოოტექნიკოსებს, მეცნიერებს შეუძლიათ ზიდონ იგი. ღა ბევრმა უკვე დაგვანახვა, თუ როგორ უნდა მისი ზიდვა, გაკაფა წინსვლის გზა. ახლა მთავარი ის არის, რომ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებაზე დაყრდნობით წინ წამოვწიოთ ჩამორჩენილები. ამით გადაიდგმება გადამწყვეტი ნაბიჯი სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის სიუხვის შექმნაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის პროგრამაში ნათქვამია:

„მძლავრ მრეწველობასთან ერთად, აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა...“

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მთელი მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების მიზნით ისმება ამოცანა გადიდდეს **სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა** 10 წელიწადში დაახლოებით ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში—სამნახევარჯერ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა წინ უნდა უსწრებდეს მზარდ მოთხოვნას მასზე“.

პარტიის პროგრამა ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის კანონია. ის, რაც დასახულია პროგრამით, უნდა განხორციელდეს და კიდევაც განხორციელდება. ასეთია პარტიის ნება, მთელი საბჭოთა ხალხის ნება.

ჩვენი პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის მუშაობას. იგი მოწოდებულია შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეგვიწყობს მოკლე ვადებში გადავჭრათ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანა, რაც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

ეს რთული და პასუხსაგები ამოცანაა. იგი მოითხოვს პარტიის, მთელი ხალხის ძალების დიდ დაძაბვას.

წარმატებით რომ გადავჭრათ ეს ამოცანა, საჭიროა უწინარეს ყოვლისა ავამაღლოთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დონე, ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის დასახული ახალი სტრუქტურა თავიდან ბოლომდე დაგვეხმარება. გავაძლიეროთ ორგანიზაციული გავლენა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე, დაეჩქარებს სოფლის მეურნეობის განვითარების მომწიფებული საკითხების გადაჭრას მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა წარმოებაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნა მოითხოვს გაძლიერდეს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, ყოველდღიური კონტროლი და შესრულების შემოწმება ჩვენი აპარატის ყველა რგოლში. უნდა შევიგნოთ, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო ამოცანას, არამედ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ამოცანას, რომელის გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული კომუნიზმის მშენებლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების წარმატებანი.

ამ ამოცანის გადაჭრა სოფლის მეურნეობის მუშაკებს შეუძლიათ მუშათა კლასის, მთელი ხალხის აქტიური მხარდაჭერით. სოციალისტური მრეწველობა სულ უფრო მეტად უნდა უწევდეს დახმარებას სოფლის მეურნეობას თანამედროვე მანქანებით, სასუქებითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით ტექნიკურ აღჭურვაში.

სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას უნდა მობმარდეს ყველა პარტიული ორგანიზაციის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების, პროფკავშირებისა და კომკავშირის ძალები. ამოცანა ის არის, რომ სათავეში ჩავუდგეთ მასების შემოქმედებითს აქტივობას, გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

როცა გადავჭრით სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების ამოცანას, ჩვენ ავიღებთ ერთ-ერთ მთავარ მიჯნას ეკონომიკის განვითარებაში, მოვიპოვებთ ისტორიულ გამარჯვებას ჩვენი პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ეს იქნება ახალი გამარჯვება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისა, რომელიც აღაფრთოვანებს ხალხებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება დიდი უურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მჭუხარე ხანგრძლივი ტაშით).

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ

ამხანაგებო! ჩვენი პარტიისა და ხალხის წინაშე ისტორიული ბნიშვნელობის ამოცანა დგას. ჩვენ უნდა განვახორციელოთ XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამა კომუნიზმის მშენებლობისა, მოკლე ვადაში შევასრულოთ ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების დიადი გეგმები.

ახლა ჩვენ განვიხილავთ საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი და ამავე დროს, თუ გნებავთ, პროგრამის ყველაზე ძნელი ნაწილის შესრულების ღონისძიებებს — სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში მარცვლის, ხორცის, რძის და ხალხის მზარდ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის საჭირო სხვა პროდუქტების სიუხვის შექმნის ღონისძიებებს.

ამ ამოცანას რომ ვაყენებთ როგორც ერთ-ერთ პირველი რიგისა და გადაუდებელ ამოცანას, ჩვენ ვემყარებით მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების შესახებ, კვების პროდუქტების სიუხვის შექმნაში სოფლის მეურნეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

მიხდა ერთხელ კიდევ მოგაგონოთ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის ბრძნული მითითება სოფლის მეურნეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ „...კვების საშუალებათა წარმოება უშუალო მწარმოებელთა სიცოცხლისა და საერთოდ ყოველი წარმოების უპირველესი პირობაა...“ („კაპიტალი“, ტომი III, ნაწ. II, გვ. 218). მარქსის აზრს რომ ავითარებდა, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სოციალისტური სახელმწიფოსათვის საჭიროა სურსათის სიუხვის შექმნა; იგი აღნიშნავდა, რომ ჩვენს პარტიას კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ ძირეულ ამოცანად მიაჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაყენება ახალ რელსებზე, მისი წარმართვა მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა საფუძველზე. სიძნელეები ის არის, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მრეწველობას როგორც წარმოების ორგანიზაციის დარგში, ისე ხელმძღვანელობისა და არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების მხრივაც. კომუნისტური მშენებლობის ინტერესები მოითხოვს გადაკრით გარდაიქმნას მთელი ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა სოფლად და უწინარეს ყოვლისა გამოინახოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების განვითარებაზე ორგანიზაციული გავლენის გაძლიერების გზები.

ჩვენ დიდი სიმაღლეები უნდა ავიღოთ სოფლის მეურნეობის დარგში. 1980 წლისათვის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, პერსპექტიული გეგმის მონასახით, უნდა აწარმოონ:

მარცვალი	— 18-19	მილიარდი ფუთი
ხამი ბამბა	— 10-11	მილიონი ტონა
შაქრის ჭარხალი	— 98-108	მილიონი ტონა
ხორცი	— 30-32	მილიონი ტონა
რძე	— 170-180	მილიონი ტონა

ამრიგად, საჭიროა 2,5-3-ჯერ გადიდდეს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოება.

კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს ესმით, რომ საბჭოთა კავშირი მრეწველობის განვითარების დარგში წინ წავიდა და წარმატებით იღებს სულ ახალ და ახალ მიჯნებს. ისინი უკვე ვეღარ ბედავენ საეჭვოდ მიიჩნიონ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპები მომავალშიც. საბჭოთა კავშირმა ყველა დაარწმუნა ამ მხრივ თავისი სოციალისტური ეკონომიკის გეგმიანი განვითარების შესანიშნავი შედეგებით. ისინი, ვისაც საეჭვოდ მიაჩნდა ჩვენი გეგმები, წინასწარმეტყველებდა მათს ჩაფუშვას, ბევრჯერ ჩავარდნილან უხერხულ მდგომარეობაში. ახლა ისინი იჩენენ უფრო მეტ გაგებას, აღიარებენ, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარების პროგრამა შესრულდება.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმებს, ჩვენს მოწინააღმდეგეებს სხვა აზრი აქვთ, კვლავ დგანან სოციალისტური სისტემის შესაძლებლობებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების ძველ პოზიციებზე.

კომუნისტი
მე-3 გვ.
7 მარტი, 1962 წ.

ღირსეული თანამოკალმეები

საქართველოს ჟურნალისტთა ყრილობის დარგპაზიდან

რამდენი ახალი სამბის მთხრობელია გაზეთის ყოველი ნომერი. ნახავთ თუ არა, სიამით გადაფურცლავთ, ჯერ წერილების სათაურებს გადაავლებთ თვალს, სურათებს დაკვირდებით, თითქოს დაგიმორჩილათ, უცებ შეჩერდებით რომელიმე საინტერესო მასალაზე, სტრიქონ-სტრიქონ ჩაიკითხავთ, და თუ რამე მოგეწონათ, სხვასაც ურჩევთ გაიცნოს იგი.

ასე იცის ცოცხალი აზრის მოყვარულმა ადამიანმა, ყველა გულმოდგინე მკითხველმა. რასაც გულისყურით წაიკითხავს, იმახსოვრებს კიდეც. თუ განსაკუთრებით შესამჩნევი და საგულისხმო რამ იპოვნა ამა თუ იმ ნომერში, ზოგჯერ მთელ გაზეთსაც შეინახავს სამერმისოდ, საშვილიშვილოდ.

სწორედ ამაშია გაზეთის გამარჯვების ძალა. ხალხი არასოდეს არ დაკარგავს გულში მოხვედრილ თბილ სიტყვას.

ამ შემთხვევაში ბევრი რამ არის დამოკიდებული გაზეთის მესვეურის უნარზე, თუ როგორ სწვდება იგი საკითხების სიღრმეს, როგორ წარმართავს მთელი კოლექტივის შემოქმედებით მუშაობას, რომ მომზიდველი, მართლა ხელიხელ საგოგმანები გახადოს გაზეთი — მასების აღზრდის ეს უდიდესი საშუალება, აგიტაციის ძლავრი იარაღი.

გუშინ, 6 მარტს, თბილისში გაიხსნა საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობა. აქ შეხვდნენ ერთმანეთს ქართული პერიოდული პრესის საუკეთესო წარმომადგენლები, მშობლიური სიტყვის გულთისდედები. ისინი ხალხში თესავენ მოწინავე იდეებს, ასეულათასებს აცნობენ ჩვენს წარმატებებს, ხალხთან ერთად ჭედენ დიდ მომავალს ახალი ცხოვრების ნათელ გზაზე. მათი რიცხვი ბევრია, მაგრამ ამჯერად ყრილობის დარბაზიდან ჩვენი შთაბეჭდილება მხოლოდ სამ მოწინავე ჟურნალისტზე, საზოგადო მოღვაწეზე გვინდა გაგიზიაროთ, და ისიც მოკლედ.

ქართული კულტურის ერთ-ერთი აკვანია ჩვენი მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი. გამოიცვალა, თითქოს ხელახლა დაიბადა საქართველოს ეს უძველესი ქალაქი — ჩვენი ლამაზი, ტკბილი ქუთაისი. ახალმა ადამიანებმა ჩაუდგეს სული ქუთაისის გამშვენიერებას, მის ძძლავრ სამრეწველო კერად გადაქცევას. ქუთაისელები ამაყობენ თავიანთი ქალაქის სწრაფი ზრდით, და განა არა აქვთ საამაყო!

ჟურნალისტთა ყრილობის ტრიბუნაზეა გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი **გივი მეფისაშვილი.** ბავშვობიდანვე მოსდევს მას გაზეთისადმი განსაკუთრებული სიყვარული, რაც ბიძამ, დასსახურებულმა პედაგოგმა ნიკო მეფისაშვილმა ჩაუნერგა თავის აღზრდილს.

ლაპარაკობს იგი ჟურნალისტის მახვილი ენით იმ შესანიშნავ ინიციატივაზე, თაოსნობაზე, რომელიც გაზეთმა გამოიჩინა ქუთაისის საწარმოებში სიახლეთა დანერგვის საქმეში.

თექვსმეტი წლის ბაბუა იყო გივი მეფისაშვილი, როცა რადიოგადაცემათა რედაქციაში დაიწყო ჟურნალისტის საინტერესო, მაგრამ რთული, პასუხსაგები მუშაობა. დადიოდა სოფლიდან სოფლად, ქალაქში, წერდა რეპორტაჟს, თანდათანობით იწაფებოდა ფართო სარბიელზე გამოსასვლელად. ცხრამეტი წლის ბაბუკი უკვე გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურ კორესპონდენტად იწყებს მუშაობას.

და ასე.. თხუთმეტი წელია რედაქტორობს ქუთაისის ყოველდღიურ საქალაქო გაზეთს. ბევრი კარგი თაოსნობის ავტორია ამ ხნის მანძილზე. მრავალ კარგ წამოწყებათა შორის აღსანიშნავია მისი შრომა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, „დროების“ რედაქტორის სერგეი მესხის საფლავის კეთილმოწყობის საქმეში.

მის კალამს ეკუთვნის ხუთი პოპულარული წიგნი, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მესხების ოჯახი“ (სერგეი, კოტე, დავითი, ეფემია და ივანე მესხები).

ახლა ჩაის, ციტრუსების მწვანე და ოქროსფერ სამეფოში შევიხედოთ. მაგრამ სად, რომელ სოფელში, რომელ მთა გორაკზე შევისვენოთ, რომ თვალი გავაძღოთ, გული მოვალხინოთ აყვავებული წალკოტის ნახვით!

მართლაც ზღაპრულად ლამაზია ახალი გურია.

ბევრის მომსწრეა,
ლიხაურში ბერმუხა რომ დგას,
ჩემი გურია
განთქმულია ხალხის გმირებით.

და ამ გმირების სახელისა და დიდების მოპოვებაში, მათი საამაყო შრომის მზის სინათლეზე გამოტანაში დიდი წვლილი მიუძღვის მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორს **ვახტანგ ჯაყელს,** რომელსაც ახლა შეუსრულდა საგაზეთო მუშაობის მეოთხედი საუკუნე.

ოცდათექვსმეტი კოლმეურნეობა და ხუთი საბჭოთა მეურნეობაა მახარაძის რაიონში. ვინ მოთვლის, რამდენი მოწინავე ადამიანის შრომა უნდა გააშუქოს გაზეთმა. არ არის სოფელი, საწარმოო უბანი, ცალკე ბრიგადა, სადაც რედაქტორი არ წასულიყოს და არ ენახოს. იგი ადგილზე სწავლობს ყველა მტკივნეულ საკითხს, ეძებს ნაკლის გამასწორებელ წამალსაც, მოწინავეთა გამოცდილებას უზიარებს და აცნობს რაიონის მშრომელებს, რომლებსაც უყვართ, მოსწონთ თავიანთი საქმიანობის გამომხატველი გაზეთი.

ამ გაზეთის რედაქტორი მეცნიერულ მუშაობასაც ეწევა სარედაქციო სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ. ვარშან ვახტანგ ჯაყელმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „სასოფლო-სამეურნეო რეზერვების რაციონალური გამოყენება მეჩაიეობის მიმართულების კოლმეურნეობებში“ (მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა მაგალითზე). მანვე გამოსცა რამდენიმე ბროშურა საკოლმეურნეო და პარტიულ თემებზე.

ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოცნებობდა საგაზეთო მუშაობაზე **ლიუდმილა მოწვარელია.** დაამთავრა ფილოლოგიური ფაკულტეტის კურსი და მშობლიურ რაიონში — გეგეჭკორის რაიონში გაიგზავნა სამუშაოდ. უკვე მეოთხმეტე წელია მისი რედაქტორობით გამოდის გაზეთი „სოციალისტური სოფელი“.

ოცდაერთი სასოფლო საბჭო, ოცდარვა კოლმეურნეობა და ორი საბჭოთა მეურნეობაა გეგეჭკორის რაიონში. დიდი სოფლებია ნაგვაზაო, ლეხაინდრაო, ხუნწი, ნაჯახაო და მთიანეთის — სალხინო, დიდი ჭყონი, თამაკონი. არის რაიონის ცენტრს დაშორებული სოფლებიც — კურზუ და გურძემი. ვინ უნდა ჩაწვდეს ამ სოფლების მჩქეფარე ცხოვრებას, ვინ უნდა ასახოს ადამიანთა შრომითი მამაცობა. პირველ რიგში რაიონის ბეჭდვითი სიტყვის ორგანომ „სოციალისტურმა სოფელმა“ და მისმა რედაქტორმა ლიუდმილა მოწვარელიამ.

და ეს ასეც ხდება. შრომის მოტრფიალე რედაქტორი მინდვრების, პლანტაციების, ყანების ხშირი სტუმარია. იგი პირადად იცნობს თავისი რაიონის ყველა სახელოვან ადამიანს და ფართოდ აშუქებს მათ მუშაობას გაზეთის ფურცლებზე. ამასთან მას მხედველობიდან არ რჩება კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც, ეხმაურება ლიტერატურული წრეების საქმიანობასაც რაიონულ სკოლებში.

ავტორიტეტით, პატივისცემით სარგებლობს ენერგიული ჟურნალისტი ქალი ხალხში, რომლის წიალიდან თვითონ არის წარმოშობილი. ლიუდმილა მოწვარელია არ ზოგავს თავის შემოქმედებით უნარს, რომ კარგად, მიმზიდველად, საინტერესოდ გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე გეგეჭკორის რაიონის სოციალისტური სოფლების წარმატებანი. მშრომელთა წარმატებების ჩინებულად ასახვით მოვიდა იგი საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობაზე.

აი რა გვინდოდა მოკლედ გვეთქვა სამ მოწინავე რედაქტორზე. სათქმელი სხვებზეც ბევრი გვაქვს, მაგრამ ნუ დაგვემდურებიან ამხანაგები, თუ ამ ნომერში მეტის თქმა ვერ მოვახერხეთ. გისურვებთ ახალ მიღწევებს, ჩვენო ძვირფასო თანამოკალმენო, საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობის დელეგატებო!

ვარლამ ჟურული.

საქართველოს ჟურნალისტთა მეორე ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) ცნობილი მეჩაიე ლეილა მაღულარია — მახარაძის რაიონული გაზეთის მუშსოფლკორთა საბჭოს წევრი, ლუდმილა მოწვარელია — გეგეჭკორის რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორი. ვახტანგ ჯაყელი — მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქტორი, გივი მეფისაშვილი — ქუთაისის საქალაქო გაზეთის „ქუთაისის“ რედაქტორი, გელა ხაბულიანი — ლენტელის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშის“ სოფლკორი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თეთრი სპარტაკიადა გრძელდება

ბაკურიანი. (ტელეფონით სპეც. კორ.). არაერთი შეჯიბრების მომსწრენი ყოფილან ბაკურიანელები, მაგრამ ამის მსგავსი მაინც არაფერი უნახავთ. საზეიმო განწყობილება სუფევს ბაკურიანში, ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ზამთრის დედაქალაქში“.

ათასობით ტურისტი, დამსვენებელი ეწვია კვირადღეს კოხტაგორის მიდამოებს. სწორედ იქ, სადაც აგებულია დიდი ტრამპლინი, მოეწყო მოთხილამურეთა პარადი, სპარტაკიადის საზეიმო გახსნა.

სპორტსმენებს მიესალმნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე და საქ. ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია. ალმის აღმართვის შემდეგ საქართველოს სპორტსმენებმა სტუმრებს ვიმპელები და თაიგულები უძღვნეს.

საზეიმო ცერემონიალი ამოიწურა. 73 სპორტსმენი სტარტისაკენ გაემართა. ამ დღეს უნდა გამოვლინებულიყო სპარტაკიადისა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში. მოთხილამურეებს ამინდი ხელს არ უწყობდა, მაგრამ ამას ბრძოლის სიმწვავე არ შეუნელებია. პირველი ცდის შეჯვედრებს მეორე მოჰყვა, ძირითადი მეტოქეები იყვნენ ა. ივანიკოვი, კ. წაქაძე, ს. დვინსკიხი, ჩემპიონობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა უკანასკნელი ცდის ნახტომებს. აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბაკურიანელმა კ. წაქაძემ ბრწყინვალედ შეასრულა ხტომა და მიიღო ყველაზე უკეთესი შეფასება.

მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები. კ. წაქაძემ 221,5 ქულა მიიღო და სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. სამსონოვი (ლენინგრადი, 220,5 ქულა), მესამეზე — დვინსკიხი (რსფსრ, 219,5 ქულა).

სპეციალურ სლალომში საერთო მოწონება დაიმსახურა საქართველოს წარმომადგენელმა ვაჟთა შორის ი. ჯანგობეგოვმა, რომელმაც პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მან ორი ცდის ჯამში აჩვენა დრო — 2 წუთი 13,9 წამი.

ორჭიდის ერთ-ერთ სახეობაში — ტრამპლინიდან ხტომაში უძლიერესი იყო დ. კოჩკინი (რსფსრ). იგი გადახტა 83,5 მეტრზე და ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა.

6 მარტს ბაკურიანში შედგა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის მორიგი ასპარეზობები. სპეციალურ სლალომში ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ლ. ვოლკოვა (2 წუთი და 18,8 წამი). მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ა. არტიომენკომ და ს. კორზუხინამ.

გოგონათა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ლენინგრადელი ა. ივანოვა.

გაიმართა აგრეთვე ორქიდელთა ასპარეზობა 15 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში. საერთო გამარჯვება მოიპოვა რსფსრ წარმომადგენელმა დ. კოჩკინმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ე. დუბროვსკი და მ. პრიახინი.

სვერდლოვსკი. (ტელეფონით სპეც. კორ.). ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის პირველი სპარტაკიადა. ალმის აღმართვის შემდეგ დაიწყო ასპარეზობანი სათხილამურო გადარბენებში, ჩქაროსნულ ცოგურაობაში და სხვა სახეობებში.

10 კილომეტრზე სათხილამურო გადარბენაში უძლიერესი იყო მოსკოვის „დინამოს“ წარმომადგენელი ვ. ვედენინი (33 წუთი და 56 წამი). მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ა. ნასედკინმა (მოსკოვი) და ა. აკენტიევმა (რსფსრ). 30 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში ჩემპიონის ოქროს მედალი ხვდა ი. ულტობინს (მოსკოვი, 1 საათი, 41 წუთი და 33 წამი). მეორე ადგილზეა ე. ვრუდკოვსკი, მესამეზე — ვ. იეროსალიმსკი.

500 მეტრზე ჩქაროსნულ ციგურაობაში ქალთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა ი. ვორონინამ, რომელმაც აჩვენა შედეგი — 46,6 წამი.

• • •

სურათზე — კ. წაქაძე.

ჩემპიონატი ზუგდიდში

ზუგდიდი. (სპეც. კორ.). საქართველოს საქადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტურის გადადებული პარტიებიდან გიორგაძე-შიშოვი და ჩიქოვანი-წერეთელი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მეექვსე ტურში გურგენიძემ დაამარცხა მიქაელიანი, ლომაიამ მოუგო ჭანტურიას, ჩიქოვანმა — ბლაგიძეს, არნშტეინმა — სემინოვს.

გაფრინდაშვილისა და შიშოვის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

5 მარტს შედგა ჩემპიონატის მეშვიდე ტური.

ლომაიამ მოუგო შიშოვს, გიორგაძემ (ქუთაისი) — ლოლუას, ჩაგუნავამ — წერეთელს, ჭანტურიამ — გვენცაძეს, რაზოვსკიმ — სემინოვს, ბლაგიძემ — მაჭავარიანს. გაფრინდაშვილ-იზეოზჩიკოვის პარტია გადადებულია გაფრინდაშვილისა-თვის უკეთეს მდგომარეობაში. გურგენიძე-არნშტეინი და გიორგაძე (თბილისი)-ბოკუჩავა ყაიმზე შეთანხმდნენ.

შვიდი ტურის შემდეგ ლიდერს — გურგენიძეს 6,5 ქულა აქვს, არნშტეინს — 5,5 ქულა, ლომაიას — 5 ქულა. 7 მარტს შედგება უკანასკნელი ტური.

სურათზე: მარცხნიდან — რ. ფიშერი, ტ. პეტროსიანი და ე. გელერი.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ჟურნირის ფინიშში

სტოკპოლმიდან გვაცნობებენ

რ. ფიშერი, ტ. პეტროსიანი და ე. გელერი — პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი

სტოკჰოლმი. (ტელეფონით სპეც. კორ.). საზონთაშორისო საჭადრაკო ტურნირის უკანასკნელისწინა, 22-ე ტურში ტურნირის ლიდერმა გროსმაისტერმა ფიშერმა ადვილად დაამარცხა მ. ბერტოკი და საბურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. უკანასკნელისწინა ტურები ნაყოფიერი აღმოჩნდა ოსტატ შტეინისათვის. მან ს. გლიგორიჩთან გადადებული პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა, ხოლო 22-ე ტურში დაამარცხა მ. კუელარი. ამრიგად, ლ. შტეინმა უკვე შეასრულა საერთაშორისო გროსმაისტერის წოდებისათვის საჭირო ნორმა.

ე. გელერმა მოუგო ა. იანოვსკის, ვ. ულმანმა — ა. ბისჰაიერს, მ. აარონმა — ლ. პორტიშს, ა. პომარმა ი. ბოლბოჩანის წინააღმდეგ დროს გადაცილება და დამარცხება ჩაეთვალა, მ. ფილიპი და ს. გლიგორიჩი არ ცდილან ბრძოლის გაგრძელებას და მე-14 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 მარტს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ვ. კორჩნოიმ მოუგო ს. შვეტერს, ტ. პეტროსიანმა — ე. გერმანს, ი. ბილე